პრეზიდენტი ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი

მოწმობა და მოქცევა

ჭეშმარიტებაზე მოწმობის მიღებისა და ჭეშმარიტად მოქცევას შორის არსებობს გარკვეული სხვაობა. მაგალითად, დიდმა მოციქულმა, პეტრემ, დაუმოწმა მხსნელს, რომ მან იცის – იესო არის ძე ღვთისა.

„უთხრა მათ [იესომ]: თქვენ კი რას იტყვით, ვინა ვარ მე”?

„სიმონ-პეტრემ უთხრა მას პასუხად: შენა ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა.

„მიუგო იესომ და უთხრა მას: ნეტარ ხარ შენ, სიმონ იონას ძევ, ვინაიდან შენ ეს გამოგიცხადა არა ხორცმა და სისხლმა, არამედ მამაჩემმა, რომელიც ცაშია”. (მათე 16:15–17).

და მაინც მოგვიანებით, უფალმა კატეგორიულად მოითხოვა პეტრესგან და ჩვენგან, გავმხდარიყავით ჭეშმარიტად მოქცეულნი, თანაც სამუდამოდ. იესომ ეს ასე თქვა: “როცა მოიქცევი, გაამხნევე შენი ძმები” (ლუკა 22:32).

იესომ ასწავლა პეტრეს, რომ მოწმობის გარდა უნდა მოხდეს დიდი ცვლილება იმისთვის, რომ ადამიანი ფიქრობდეს, გრძნობდეს და მოქმედებდეს, როგორც იესო ქრისტეს ჭეშმარიტად მოქცეული მოწაფე. ეს არის ის დიდი ცვლილება, რომლისკენაც ყველანი ასე მივისწრაფვით. და როცა მივიღებთ ამ ცვლილებას, სიცოცხლის ბოლომდე უნდა გავაგრძელოთ იგი (იხ. ალმა 5:13-14).

ჩვენ ვიცით საკუთარი გამოცდილებიდან და ასევე სხვების დაკვირვებიდან, რომ სულიერი ძალის რამდენიმე მომენტის გამჟღავნება არ არის საკმარისი. პეტრემ უარყო ის, რომ იცნობდა მხსნელს მას შემდეგაც კი, რაც სულის მიერ მიიღო მოწმობა, რომ იესო არის ქრისტე. მორმონის წიგნის სამ მოწმეს მიეცა პირდაპირი მოწმობა იმისა, რომ მორმონის წიგნი არის სიტყვა ღვთისა და მაინც, მოგვიანებით, ისინი ყოყმანობდნენ, დაეჭირათ თუ არა მხარი ჯოზეფ სმითისთვის, როგორც უფლის ეკლესიის წინასწარმეტყველისთვის.

ჩვენ უნდა გულში შევიცვალოთ, როგორც ეს აღწერილია ალმას წიგნში: “და მათ ყველამ განუცხადეს ხალხს ერთი და იგივე რამ, რომ მათ გული შეეცვალათ; და რომ აღარ ჰქონდათ ბოროტის კეთების სურვილი”(ალმა 19:33; იხ. ასევე მოსია 5:2).

უფალი გვასწავლიდა, რომ როცა ჩვენ ჭეშმარიტად მოქცეულნი ვართ მის სახარებაში, გული ზურგს შეაქცევს ეგოისტურ ინტერესებს და მიუბრუნდება მსახურებას და სხვების გამხნევებას მათ მარადიული ცხოვრებისკენ მიმავალ გზაზე. ასეთი მოქცევის მოსაპოვებლად ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ და ვიშრომოთ რწმენაში იმისთვის, რომ ახალ ადამიანად ვიქცეთ, რაც შესაძლებელი გახდა იესო ქრისტეს გამოსყიდვის გამო.

ჩვენ შეგვიძლია დავიწყოთ იმით, რომ

ვილოცოთ იმის რწმენისთვის, რომ მოვინანიებთ ეგოისტურ საქციელს და იმისთვის, რომ მივიღოთ ძღვენი – ვიზრუნოთ სხვებზე უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ თავზე. ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ იმისთვის, რომ მივიღოთ ძალა გადავდოთ გვერდზე ამპარტავნობა და შური.

ლოცვა ასევე იქნება ღვთის სიტყვის მიმართ სიყვარულისა და ქრისტეს მიმართ სიყვარულის მიღების გასაღები (იხ. მორონი 7:47-48). ეს ორი რამ ერთად არსებობს. ღვთის სიტყვის წაკითხვის, გააზრებისა და ლოცვის დროს ჩვენ მის მიმართ სიყვარული გვიჩნდება. უფალი ამას გულში გვინერგავს. როცა ამ სიყვარულს ვგრძნობთ, ჩვენ უფალი უფრო და უფრო გვიყვარდება. ამასთან ერთად მოვა სიყვარული სხვების მიმართ , რომელიც გვჭირდება იმისთვის, რომ გავაძლიეროთ ისინი, ვისაც ღმერთი ცხოვრებაში შეგვახვედრებს.

მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია ვილოცოთ იმისთვის, რომ ამოვიცნოთ ისინი, ვისაც უფალს სურს, რომ მისიონერებმა ასწავლონ. სრული დროის მისიონერებს შეუძლიათ ილოცონ რწმენით, რათა სულიწმინდის მეშვეობით გაიგონ, რა ასწავლონ და რა დაამოწმონ. მათ შეუძლიათ ილოცონ იმის რწმენით, რომ უფალი აგრძნობინებს მათ თავის სიყვარულს ყველას მიმართ, ვისაც შეხვდებიან. მისიონერები არ მოიყვანენ ყველას, ვისაც ისინი შეხვდებიან, ნათლობის წყლამდე და სული წმინდის მიღებამდე. მაგრამ მათ შეუძლიათ სული წმინდა თანამგზავრად იყოლიონ. მათი მსახურების მეშვეობით და სული წმინდის დახმარებით, მისიონერები შესაბამის დროს გულის შეცვლას განიცდიან.

ეს შეცვლა არა ერთი იქნება, თუკი ისინიც და ჩვენც ცხოვრების მანძილზე უანგაროდ გავაგრძელებთ რწმენით მოქმედებას, რათა გავაძლიეროთ სხვები იესო ქრისტეს სახარებით. მოქცევა არ იქნება ერთჯერადი მოქმედება ან რაიმე, რაც ერთი სეზონის მანძილზე გაგრძელდება, არამედ იქნება უწყვეტი პროცესი. ცხოვრება შეიძლება ისეთი ნათელი გახდეს, როგორც ის სრულყოფილი დღე, როცა ჩვენ მხსნელს დავინახავთ და აღმოვაჩენთ, რომ მას დავემსგავსეთ. უფალმა ეს მოგზაურობა ასე აღწერა: "ის, რაც ღვთისაა-სინათლეა; და ის, ვინც იღებს სინათლეს და რჩება ღმერთში, იღებს მეტ სინათლეს; და ეს სინათლე უფრო და უფრო კაშკაშა ხდება, სანამ სრულყოფილი დღის სიკაშკაშეს არ მიაღწევს" (მოძღვრება და აღთქმები 50:24).

მე გპირდებით, რომ ეს თითოეულ ჩვენგანისთვის შესაძლებელია.

ამ მოწოდების სწავლება

უხუცესმა დევიდ ა. ბედნარმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან გამოიყენა "დამწნილების მაგალითი", რათა ეჩვენებინა, რომ მოქცევა არის უწყვეტი პროცესი და არა ერთჯერადი მოვლენა: "ხაზი ხაზზე, მცნება მცნებაზე, თანდათანობით და თითქმის შეუმჩნევლად, ჩვენი მოტივები, აზრები, სიტყვები, ქმედებები გაუტოლდება ღვთის ნებას" "Ye Must Be Born Again," ლიახონა მაისი 2007, 19). განიხილეთ დამწნილების მაგალითი მათთან, ვისაც ასწავლით. რისი გაკეთება შეუძლია ყოველ ჩვენგანს იმისთვის, რომ ურყევად წავიწიოთ წინ მოქცევის მდგრად პროცესში, რომელიც აღწერეს პრეზიდენტმა აირინგმა და ბედნარმა.

ახალგაზრდები

ჩემი გულის შეცვლა

დანტე ბაიარდოს მიერ

როცა მე პირველად გავიგე იესო ქრისტეს აღდგენილი სახარების შესახებ, ვიგრძენი, რომ სულიწმინდა მიმოწმებდა მის ჭეშმარიტებაზე. ლოცვის მეშვეობით, ჩემი მოწმობა კიდევ უფრო ცხადი გახდა და გადავწყვიტე, მოვნათლულიყავი.

ნათლობის შემდეგ, მალევე, ხალხი ჩემს მეურვეობაში მეკითხებოდა, რას ვფიქრობდი მისიაზე მსახურების შესახებ. სიმართლე რომ გითხრათ, ზუსტად არ ვიცოდი, რა მეთქვა. ოჯახისა და სასწავლებლის მიტოვება მისიაში მსახურების გამო აბსურდულ იდეად მეჩვენებოდა.

შემდეგ დადგა დღე, როცა საკუთარი მოქცევის შესახებ დავიწყე ფიქრი. გავიხსენე მისიონერები, რომლებიც მასწავლიდნენ, რომლებიც მოთმინებით პასუხობდნენ ყოველ ჩემს კითხვას და დამეხმარნენ სახარების წვდომაში. მე მივხვდი, რომ მათი დახმარების გარეშე ვერასდროს ვერ აღმოვაჩენდი ჭეშმარიტ ეკლესიას. როგორც კი ეს გავიაზრე, გულში მსახურების სურვილი გამეფურჩქნა. მე ვგრძნობდი

სულიწმინდის კარნახს, მემსახურა სრული დროის მისიაში.

მე ვიცი, რომ მისიონერული სამუშაო ჩვენი ზეციური მამის სამუშაოა და ჩვენ შეგვიძლია მივიყვანოთ სულები აღდგენილი სახარების შესანიშნავ ცოდნამდე.

ავტორი ცხოვრობს ბრაზილიაში, ფორტალეზაში.

ბავშვები

ნება მიეცით თქვენს მოწმობას, გიზგიზებდეს

მოწმობის შეძენა ცეცხლის გაჩაღებას ჰგავს. ზუსტად როგორც ცეცხლის შესანარჩუნებლად საჭიროა შეშის დამატება, ჩვენც ასე უნდა ვილოცოთ, მოვინანიოთ, ვემსახუროთ სხვებს, ვისწავლოთ წმინდა წერილი და დავიცვათ მცნებები იმისთვის, რომ დავეხმაროთ საკუთარ დამოწმებებს, იგიზგიზონ.

იმისთვის, რომ უკეთ გაიგოთ, როგორ შეიძინოთ მოწმობა, წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ყოველი ამონარიდი წმინდა წერილიდან. დახატეთ ცეცხლი ხუთი დიდი ალით. გააფერადეთ ცეცხლი ყოველი წაკითხული წმინდა წერილის შემდეგ. რაც უფრო მეტს წაიკითხავთ, მით უფრო კაშკაშა იქნება ცეცხლი და თქვენი დამოწმება!

მოსია 2:17

ალმა 5:46

ალმა 32:27

3 ნეფი 15:10

იოანე 5:39

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *First Presidency Message, January 2015.* Georgian. 12582 131

იესო ქრისტეს თვისებები: უცოდველი

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, თუ რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გაგება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ reliefsociety.lds.org..

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის თვისებებს.

ჩვენი მხსნელი, იესო ქრისტე, იყო ერთადერთი, ვისაც შეეძლო კაცობრიობის გამოსყიდვა. "იესო ქრისტე, უნაკლო კრავი, კეთილი ნებით დაწვა მსხვერპლშეწირვის საკურთხეველზე და გადაიხადა ჩვენი ცოდვების საფასური", – თქვა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, პრეზიდენტმა დიტერ ფ. უხთდორფმა.[1] იმის გააზრება, რომ იესო ქრისტე უცოდველი იყო, დაგვეხმარება იმაში, რომ გავზარდოთ ჩვენი რწმენა მის მიმართ და ვეცადოთ დავიცვათ მისი მცნებები, მოვინანიოთ და გავხდეთ სუფთანი.

"იესო იყო . . .ხორცისა და სულის არსება, მაგრამ არ ვარდებოდა ცდუნებაში (იხ. მოსია 15:5)", თქვა უხუცესმა დ. თოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან. "ჩვენ შეგვიძლია მივუბრუნდეთ მას . . .ვინაიდან მას ესმის ჩვენი. მას ესმის ბრძოლა, მას ასევე ესმის, როგორ უნდა მოვიგოთ ეს ბრძოლა. . . .

". . .მისი გამოსყიდვის ძალას შეუძლია წაშალოს ჩვენში ცოდვის გავლენა. როცა მოვინანიებთ, მისი გამოსყიდვის მადლი გვამართლებს და გვწმენდს (იხ. 3 ნეფი 27:16-20). ეს იმას ჰგავს, თითქოს ჩვენ არც კი ავყევით ცოდვას, არ დავემორჩილეთ ცდუნებას.

"როცა ჩვენ ყოველ დღე და ყოველ კვირა მივყვებით ქრისტეს გზას, ჩვენი სული ამტკიცებს საკუთარ განსაკუთრებულობას, შინაგანი ბრძოლა ცხრება და ცდუნებები აღარ გვაღელვებს".[2]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

მათე 5:48; იოანე 8:7; ებრაელთა 415; 2 ნეფი 2:5-6

წმინდა წერილიდან

მხსნელმა გადაიხადა ჩვენი ცოდვების საფასური თავისი ღვთიური წარმოშობის, უცოდველი ცხოვრების, ტანჯვისა და სისხლის დაღვრის ხარჯზე გეთსიმანიის ბაღში, თავისი ჯვარზე სიკვდილითა და საფლავიდან მკვდრეთით აღდგომით. იესო ქრისტეს გამოსყიდვის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია კვლავ განვიწმინდოთ, თუკი მოვინანიებთ ცოდვებს.

მეფე ბენიამინმა ასწავლა თავის ხალხს იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ და შემდეგ ჰკითხა, იწამეს თუ არა მისი სიტყვები. "მათ ყველამ ერთხმად დაიძახეს: . . .სული წმინდამ . . .ძლიერი ცვლილება მოახდინა ჩვენში, ჩვენს გულებში და აღარ გვაქვს სურვილი ჩავიდინოთ ბოროტი და გვსურს გამუდმებით სიკეთე ვაკეთოთ. . . .

"და გვსურს დავდოთ აღთქმა ჩვენს ღმერთთან, რომ ვაკეთოთ მისი ნება და ვიყოთ მისი მცნებების მორჩილნი ყველაფერში" (მოსია 5:1-2,5).

ჩვენც შეგვიძლია განვიცადოთ "ძლიერი შეცვლა", როგორც მეფე ბენიამინის ხალხმა, რომლებსაც აღარ ჰქონდათ სურვილი "ჩაიდინონ ბოროტი და სურთ გამუდმებით სიკეთე აკეთონ" მოსია 5:2).

შენიშვნები

1. დიტერ ფ. უხთდორფი, "You Can Do It Now"! *Liahona,* ნოემბერი 2013, 56
2. დ. თოდ კრისტოფერსონი "That They May Be One in Us", *ლიახონა,* ნოემბერი 2002, 71.

განიხილეთ შემდეგი

როგორ განსხვავდება სისუფტავე სრულყოფილებისგან?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში.
ინგლისურად დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი დამტკიცებულია: 6/14. თარგმანი *Visiting Teaching Message, February 2015.* Georgian. 12582 131